მაია ფირჩხაძე

სინქრონია-დიაქრონიის პრინციპები და გლობალური პრობლემების განხილვა ისტორიის გაკვეთილზე

ისტორიის როგორც სამეცნიერო დისციპლინის შესწავლისას ისტორიკოსის ყურადღების ცენტრში მთლიანად განვითარების პროცესი ექცევა, მაგრამ **ისტორიული სიტუაციის გაგებისა და გადმოცემის პრინციპი შეიძლება სულ რამდენიმე იყოს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მეთოდებს, გზებსა და საშუალებებს, რომლებსაც იყენებენ ისტორიკოსები - მკვლევარი-ისტორიკოსები სამეცნიერო მუშაობისას და ისტორიის მასწავლებლები გაკვეთილის მსვლელობისას.** მაგრამ ვინაიდან ისტორიის სახელმძღვანელოები მკაცრად ადაპტირებული ისტორიული ტექსტებია და ხშირად ერთგვარი სიმშრალეც ახასიათებს, გასაგებია, რამდენად მნიშვნელოვანია ისტორიის მასწავლებლებისთვის არა მარტო პედაგოგიური უნარების, არამედ ისტორიული სიტუაცის გაგებისა და გადმოცემის პრინციპების ცოდნა, რათა მასალის ახსნის დროს არ დაირღვეს ისტორიული პროცესებისთვის დამახასიათებელი განვითარების ერთიანი ჯაჭვი.

ისტორიული სიტუაციის გაგებისა და გადმოცემის ერთ-ერთი პრინციპია **საკითხისადმი იდეოგრაფიული მიდგომა.** იგი ძალიან ინდივიდუალურია და **გულისხმობს „თხრობას წარსულის შესახებ ისე, როგორც იყო სინამდვილეში“.** ამ დროს წინ წამოიწევს ამბების, მოვლენებისა და დეტალების მნიშვნელობა, ისტორიულ პირთა დახასიათებები, მონაწილეთა სახეები, ინტრიგები თუ კერძო ურთიერთობები (ძირითადად - მმართველი ფენებისა) და, ცხადია, საამისოდ, უპირველესად, გამოყენებულია დოკუმენტური წყაროები; აქ ხდება მათი ერთგვარი „გამოძიება“ და მიწოდება. ისტორიის შესწავლის ამგვარი გზა დამახასიათებელია მათთვის, ვინც გატაცებულია ისტორიული ემპირიით (როგორც ცნობილი მასალებით, ასევე ავტორის მიერ მოპოვებულითაც) და, რაც მთავარია, ისინი გაურბიან „ისტორიულ კონცეპტუალიზმს“ როგორც მათგან განსხვავებული აზრის მოსმენის საფრთხეს. ცხადია, ასეთ დროს ისტორიულ ობიექტივიზმში ლატენტურად იმალება ესა თუ ის გაგება ისტორიული პროცესისა, რადგან შესაძლოა, მთავარი ღირებულებები ხშირად ზედაპირულიც იყოს. ასეთ დროს ყურადღება მკაცრი ისტორიული „გარჩევებიდან“ გადადის მსუბუქ „კითხვაზე“ („მსუბუქზე“ - როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გაგებით). ამიტომ არის, რომ გაკვეთილზეც შეიძლება შეგვხვდეს ისეთი სიტუაცია, როდესაც გაკვეთილის ტექსტი ისეა აგებული, რომ არ არის დაცული ზღვარი ისტორიული მასალის ემპირიულობასა და კონცეპტუალიზმს შორის და პედაგოგი საგაკვეთილო ტექსტის „წაკითხვას“ამჯობინებს მასალის ახსნას.

ისტორიული სიტუაციის გაგებისა და გადმოცემის მეორე პრინციპია **კონცეპტუალური მიდგომა,** რომელიც ემყარება ემპირიული მასალის მყარად შესწავლილ მეცნიერულ პარადიგმას. ასეთ დროს ისტორიული მოვლენისთვის დამახსიათებელი სისტემურობა მოდელირდება შინაგან და გარეგან კავშირებად, ფაქტორებად, რომლებიც განსაზღვრავს ისტორიულ პროცესში მათ ფუნქციობას და განვითარებას, ადგილსა და როლს.

რა თქმა უნდა, მეცნიერული პარადიგმისგან დამოუკიდებლად ყალიბდება მკვლევარის, პედაგოგისა და მოსწავლის პოზიცია და, შესაბამისად, ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვანაირად გაიგება და წაიკითხება; იგულისხმება, რომ ისტორიით მათი დაინტერესება გამოწვეულია არა მარტო საკითხების აქტუალობით, არამედ უპირველესად იმით, რომ ამ დროს ხდება ისტორიის შესწავლა მეცნიერული აქტუალიზაციის გზით (ამიტომ არის, რომ საკითხის აქტუალობას ხშირად ესმება ხაზი არა მარტო სამეცნიერო მუშაობის დროს, არამედ გაკვეთილზეც); ხოლო ისტორიის როგორც წარსულის შესწავლის აქტუალობის არსი და ისტორიის როგორც სამეცნიერო დისციპლინის შესწავლის ერთ-ერთი მიზანიც ის არის, რომ მოგვცეს ცოდნა გარდასულ მოვლენათა შესახებ, ამით დაეხმაროს თანამედროვეობას და გვიჩვენოს მომავლის გზა. სქემატურად ეს შეიძლება ასე გამოისახოს:



მაგრამ როგორ მოახერხონ ეს პედაგოგებმა, როდესაც ხშირად ისტორიის სახელმძღვანელოები არ აძლევს მათ საშუალებას, **ისტორიული სიტუაციის გაგებისა და გადმოცემის პრინციპები სწორად გამოიყენონ და ზუსტად მიიტანონ მოსწავლემდე ისტორიული ნარატივის „სათქმელი“?** აი, ამ დროს იძენს ისტორიის შესწავლის მეთოდები განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მაგრამ აქაც იბადება კითხვა: როგორ შევარჩიოთ ისინი? მათი სწორად შერჩევის მეცნიერული გზაა **მეთოდების ანალიზი,** რომელიც გულისხმობს მეთოდის შერჩევას შემდეგი კოგნიტური სქემის მიხედვით:

- გამოყენების მიზნის შესაბამისად (რისთვის ვიყენებთ ამ მეთოდს?);
- საზღვრულობა (რისთვის არ ვიყენებთ?)
- რესურსების მიხედვით (რომლებიც ამ მეთოდის გამოყენებისას გვჭირდება);
- პრობლემის გადაჭრის კუთხით (რა სახის დავალებებისთვისაა ეფექტური აღნიშნული მეთოდი?).

ამ მეთოდებს შორის პრაქტიკულობითა და მოქნილობით ისტორიის შესწავლისთვის გამოიყოფა დიაქრონიული და სინქრონიული მეთოდები (დიაქრონიული და სინქრონიული ცხრილები). დიაქრონიულ მეთოდს გვთავაზობს საკითხის შესწავლისადმი ისტორიული მიდგომა, მაშინ როდესაც თეორიული და განსაკუთრებით სოციოლოგიური კვლევები გვთავაზობენ **სინქრონიულ მიდგომას,** რომელიც საშუალებას გვაძლევს, სოციოკულტურული კონტექსტი და პედაგოგიური ტრადიცია ერთმანეთს შევუხამოთ და გამოვყოთ ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს. ამ დროს როგორი „ხარვეზიანიც“ არ უნდა იყოს

სახელმძღვანელოს ტექსტი, ის მაინც მისცემს პედაგოგს საშუალებას, მიაღწიოს იმ მიზანს, რასაც ემსახურება, საზოგადოდ, ისტორიის გაკვეთილი.



როგორ გამოვიყენოთ სინქრონიული ცხრილები?

მარტივი ქრონოლოგიური ცხრილი, რომელიც, ჩვეულებრივ, ებმის ისტორიულ თხზულებას, როგორც წესი, **ფაქტების დამახსოვრების საშუალებას წარმოადგენს.** იგი არ აკნინებს ქრონოლოგიის როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინის მნიშვნელობას, ის უბრალოდ **თვალსაჩინოს ხდის ფაქტებისა და მოვლენების თანხვედრასა და თანმიმდევრობას**. დამახასიათებელია, რომ ამ დროს აქცენტი კეთდება მნიშვნელოვან თარიღებზე და ყურადღება არ მახვილდება მოვლენის მასშტაბზე (თუმცა ამით მცირდება ისტორიული მოთხრობების მოყვარულთა, თუნდაც ძლიერ დაინტერესებულთა, ყურადღება).

სინქრონიზაციის პრინციპი კი ისტორიულ მოვლენებზე იმავე ხერხით გვიქმნის წარმოდგენას, როგორითაც გეოგრაფიული რუკა, იმ განსხვავებით, რომ **აქ მნიშვნელოვანია „ცარიელი“ ადგილებიც,** რადგან **ისინი გვიჩვენებენ პერიოდებს, რომელთა განმავლობაშიც რაიმე განსაკუთრებული ღირებულების ფაქტი, ისტორიული მოვლენა არ მომხდარა,** ანუ მიუთითებს ეთნოსოციალური სისტემების პასიურობასა და მათ ერთგვარ წონასწორობაზე - როცა „დრო იყო მშვიდი“, როცა „იყო სიმშვიდე“.

ცხადია, **სინქრონიული ცხრილი ვერ შეცვლის ტექსტს, რომელშიც მოვლენები დაწვრილებით არის გადმოცემული და მათ შორის კავშირებიც დასაბუთებულია,** მაგრამ ცხრილს ამაზე არც აქვს პრეტენზია - ის მხოლოდ ავსებს ტექსტს და წარმოადგენს ფუნდამეტს დიაქრონიისათვის.

სინქრონიული ცხრილები შეიძლება აიგოს სხვადასხვა პრინციპით (ეთნიკური, რეგიონული, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ა.შ. ისინი ადვილად აღსაქმელს ხდიან პოლიტიკურ ისტორიებს, ეთნოსების წარმოშობასა და განვითარება-კვდომას, სახელმწიფოების, ერების ჩამოყალიბებას და, საერთოდ, ეთნოსოციალური სისტემების ხასიათს).

განსაკუთრებით მოხერხებულია ამგვარი მასალების გადაცემისას მათი დაჯგუფება და აგება **რეგიონული პრინციპით.** იგი **არ ასახავს არც კლიმატურ, არც პოლიტიკურ, არც კულტურულ და არც ეთნიკურ გეოგრაფიას (ცალკე აღებული), თუმცა ამ უკანასკნელის დიდი მნიშვნელობის გამო საზოგადოდ რეგიონების ისტორიისთვის, რეგიონულ სინქრონიულ ცხრილში, ისინიც პოვებენ ასახვას** (იგულისხმება, რომ ყველა ეთნოკულტურული საკითხი შეტანილია ძირითად ტექსტში), რითაც, მაგალითად, ეთნოგენეზი შეიძლება „გეოგრაფიულ მოვლენად“ ვაქციოთ.

რეგიონული სინქრონიული ცხრილის მაგალითი

მაგალითად აღებულია ძვ. წ. III-I საუკუნეების რეგიონული სინქრონიული ცხრილი (ევრაზიის კონტინენტისთვის). ცხრილი, იმისათვის, რომ მოკლე და მოხერხებული იყოს, დაყოფილია მრავალრიცხოვანი უჯრედებით:

გრაფა N1 - აბსოლუტური ქრონოლოგიის უჯრაა;

გრაფა N6 - ასახავს დიდი სტეპის ტენიანობის ცვლილებას და სხვა კლიმატურ მოვლენებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ეთნოსისტემებზე;

გრაფა NN2, 3, 4, 5 - ის მნიშვნელოვანი მოვლენებია, რომლებიც შეესაბამება ბუნებრივი მოვლენების ცვლილებას, რის გამოც ცხრილი აგებულია კომპაქტური პრინციპით და ერთ გრაფაში - **N 5** - აერთიანებს ცენტრალურ აზიას, ციმბირს და აღმოსავლეთ ევროპას;

გრაფა N 2 - დასავლეთ ევროპაა (რომის იმპერია); **გრაფა N3** - ელინისტური ქვეყნები და მოკავშირეები; **გრაფა N4** - თურანი (ეს პირობითი სახელწოდებაა სამხრეთ თურქესტანისა და მისი მეზობელი ქვეყნებისა); **გრაფა N5** - აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მოსახლეობა.

ძვ. წ. III -I ს.ს. სინქრონიული ცხრილი

თარიღი ძვ.წ.	**რომი**	**ელინიზმი**	**თურანი**	**ჰუნი და ჰანი**	**ბუნებრივი პირობები**
1	2	3	4	5	6
230-221	გალების დამარცხება იტალიაში	დიდი სირია	პართიელები ბერძნების წინააღმდეგ	ჰუნების დასუსტება, ცინების გამარჯვება	სტეპის ტენიანობის ზრდა
220-210	ჰანიბალი იტალიაში	საბერძნეთ-ბაქტრიის გამოყოფა სირიიდან	სოგდების ჰეგემონობა აღმოსავლეთ აზიაში	ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა	კლიმატის მაქსიმალური მოხერხებულობა

209-200	რომის გამარჯვება კართაგენზე	ანტიოქოსის მიერ პართიელების განდევნა მიდიიდან და ბაქტრიის აღება	ჰუნების დამარცხება; სოგდები ჰუნების წინააღმდეგ	ჰუნთა სახელმწიფოს ორგანიზება. ხანის იმპერია	კასპიის დაბალი ზღვრული მაჩვენებლები
199-190	რომის მიერ სირიის და მაკედონიის დაუფლება	საბერძნეთ-ბაქტრიის ზავი სირიასთან		ჰუნების და ჰანის სამშვიდობო ხელშეკრულება	ბალხაშის და არალის დონის აწევა
169-160	რომის მიერ მაკედონიის დამორჩილება	პართიელებმა შეავიწროვეს ბერძნები	ჰუნების მიერ სოგდების დამარცხება	ჰუნების და ჰანის ბრძოლა	
159-150		პართიამ დაიმორჩილა მიდია	სოგდიის გათავისუფლება	სამშვიდობო ზავი. სავაჭრო ხელშეკრულება (152)	
149-140	კართაგენის დანგრევა და საბერძნეთის დაუფლება	პართიის მიერ სელევკიის აღება	პართიელების და საკების ომი		
109-100		პონტოს მეფე მითრიდატეს მიერ ხერსონესის, კოლხეთის და ბოსფორის აღება		ჰუნების შეტევები; ჩინელების თავდასხმები ფერღანაზე	
89-80	სამოქალაქო ომი. მარიუსი და სულა		პართიისა და რომის ზავი	ჰუნების დაპირისპირებები ერთმანეთთან	სტეპის „გადახმობის“ დაწყება
79-70	ლუკულუსის ლაშქრობა პონტოში			ჰუნების წინააღმდეგ აჯანყებები	კასპიის ტრანსგრესია
69-	პომპეუსის	მითრიდატეს		ამბოხებები	

60	მიერ პონტოს, სირიის და პალესტინის აღება	თვითმკვლელობა		ჩინეთში	
39-30	რომის მიერ ეგვიპტის აღება		პართიის მარცხი სირიაში; ბრძოლა საკებთან	რომის ბრძოლა ჰანებთან	
29-20			რომის დათმობები სომხეთში	ჰუნები ჰანების დაქვემდებარებაში შედიან	
19-10			რომის ზავი პართიასთან	ჰანების აგრესია დასავლეთისკენ	
ძვ.წ. ბოლო წლები (დაახლ. 9-0)	იესოს დაბადება			ვაბ მანი ხელისუფლების სათავეში	კლიმატური ცვლილებები სკანდინავიიდან ეთიოპიამდე

როგორც ვხედავთ, სინქრონიული მიდგომა ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიისთვის საჭირო დიდი და აუცილებელი მასალის შეკრებას გულისხმობს და მოსწავლეს საშუალებას აძლევს, უზარმაზარ პერიოდს დინამიკაში გაადევნოს თვალი, მაგრამ სპეციალისტებისთვის (ეთნოლოგებისთვის) და პედაგოგებისთვის (ვინც ამ დინამიკას უხსნის მოსწავლეებს და სურს, დაანახვოს მსოფლიო ისტორიული პროცესების განვითარების კანონზომიერებანი) ეს მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოა პროცესების დიაქრონიული შედარებისთვის: ამ დროს გამოთვლას იწყებენ არა წელთაღრიცხვის პირობითად მიღებული საწყისიდან, არამედ ეთნოსების დაბადებიდან, დასაწყისიდან, ისტორიულ ასპარეზზე მათი გამოჩენიდან და მათზე აგებენ ეთნოგენეზისა და მსოფლიო ისტორიის მსვლელობის კოგნიტურ სქემას. რას მისცემს ეს სქემა მოსწავლე-მასწავლებელს?

დიაქრონია როგორც პრინციპი

ისტორიის სახელმძღვანელოებში ხშირად ეფემერულად და არასათანადოდ არის ახსნილი ეთნოგენეზი, რომელიც, საზოგადოდ, მოსწავლეთა დიდი ყურადღებით გამოირჩევა: რატომ გამოვიდა ესა თუ ის ეთნოსი ისტორიის ასპარეზზე მოცემულ დროს? როგორ მოხდა და რამ განაპირობა მათი სწარაფი ზრდა და ზესახელმწიფოებად

გადაქცევა? რატომ ქრებიან ერები და რა პროცესები ახლავს თან მათ განადგურებას? რა გავლენას ახდენს ისტორიული დრო ჩვენს თანამედროვეობაზე? როგორ უნდა მოვიქცეთ ამგვარი პრობლემების ჩვენს სინამდვილეში შემჩნევისას, როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით? - და ა.შ.

იქ, სადაც ემპირიული და კონცეპტუალური ცოდნა თანაბრადა არ არის განაწილებული, ამგვარი პრობლემური კითხვები გაკვეთილის მსვლელობის დროს აუცილებად იჩენს თავს. მასწავლებელი ბევრ დროს ხარჯავს კონცეპტისა და პრეცეპტის დასახასიათებლად და შესაძლოა ამ დროს ახალი პრობლემების წინაშეც დადგეს, ხოლო დიაქრონიული ცხრილები საუკეთესო საშუალებაა ასეთი მასალის დასალაგებლად.

ეთნოგენეზის ახსნის დროს პედაგოგი აუცილებლად გაამახვილებს ყურადღებას ეთნოგენეზის პრინციპსა და მისთვის დამახასიათებელ ძირითად მომენტებზე - რომ თითოეული ეთნოსისთვის „დაბადების“ მომენტი ინდივიდუალურია და რომ ისინი ერთმანეთს თანხვდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდებიან ერთმანეთის „თანამედროვენი“. საწყისი ამ ათვლისა, ამ **ე.წ. „პასიონარული ბიძგისა“ (პასიონარულობა - ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად კოლექტიური, მიზანმიმართული, შეგნებული, გააზრებული, კონსტრუქციული და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ხანგრძლივი ძალისხმევის უნარი)** ძნელი დასათარიღებელია, ძნელი შესამჩნევია თითქმის ათასწლოვანი პროცესების დასაწყისი. მაგალითად, რომაელებმა არ მიაქციეს სათანადო ყურადღება ძვ.წ. 30-იან წლებში პასიონარების პლეადის საქმიანობას, მათ მხოლოდ აოცებდათ იუდეველთა უჩვეულო ფანატიზმი, სწორად ვერ შეაფასეს 65 წლის ერთდროული მოვლენები იუდეასა და დაკიაში და მხოლოდ დაახლ. 155 წელს, იუსტინე წამებულის ეპოქაში გაიგეს, რომ არსებობს განსაკუთრებული „ჯიშის ხალხი“ - ქრისტიანთა ერთობები, როგორც დამოუკიდებელი ფენომენი, რომელზეც მოგვიანებით II-IV საუკუნეებში ამოიზარდა სუპერეთნოსი - ბიზანტია. ბიზანტიის ეთნოგენეზი - იშვიათი შემთხვევაა, როდესაც საეკლესიო ისტორიის მეშვეობით რეტროსპექტიულად შეგვიძლია განვსაზღვროთ „ბიძგის“ დაწყების ზუსტი თარიღი (ძირითადად ამ თარიღის „გამოჭერა“ ძნელია).

მაგრამ „ბიძგი, ტალღა“ არ არის ერთადერთი საყრდენი წერტილი ეთნოგენეზის ქრონოლოგიისთვის. ეთნოსის დაბადება გაცილებით თვალში საცემია მეზობლებისთვის, როდესაც მისი ასპარეზზე გამოსვლა აქტიური ქმედებით ხასიათდება. ეს მოვლენა ხშირად ახალი ეთნონიმის დაბადებასაც უკავშირდება, ანუ ხდება ეთნოსის მიერ საკუთარი თავის „სახელდება“, „სახელის დარქმევა“, მაგალითად, 622 წლის 20 სექტემბერი (ჰიჯრით) მნიშვნელოვანი თარიღია არაბთა ეთნოგენეზისთვის. 632-642 წლებში არაბები ჯერ კიდევ არ ფიგურირებდნენ როგორც „არაბები“ (ეთნოსი), ხოლო თავად ტერმინი გამოიყენებოდა როგორც სინონიმი არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები მომთაბარეებისა. და მხოლოდ მაშინ, როცა მუსლიმანთა ჯარი შეიჭრა სირიასა და ირანში და დაამარცხა ბერძნები და სპარსელები, ეწოდა ეთნოსს „არაბები“, ანუ პასიონარული ფუნქციის შესრულებამ (ეროვნული პასიონარულობა, უპირველესად, სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, კულტურული და კონსტრუქციული, მიზანმიმართული, გრძელვადიანი საერთოეროვნული ძალისხმევის ფუნქციაა) „აიძულა“ ეს ეთნოსი, თავისი თავისთვის სახელი დაერქმია (თუმცა მომდევნო თაობებში „სახელდების“ მომენტი ნელ-ნელა კარგავს ძველ მნიშვნელობას და ამასთან დაკავშირებით ახალი ვერსიებიც ჩნდება).

დიაქრონიულ სკალაზე სხვა თარიღებიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, ეთნოსის ზრდისა, დამცრობისა თუ ხელახალი რეალიზებისა. ეს ხშირად გამოწვეულია გამოჩენილი მოღვაწეების (ჯერ - პოლიტიკოსების, შემდეგ - იდეოლოგების: პოეტების, მეცნიერების, შემდეგ - მოხელეების და, ბოლოს, უკვე გარდაცვლილი ბელადების ქვეშევრდომი მშრომელების) განადგურებით (რჩებიან მხოლოდ მოღალატეები და ისინიც - გარკვეული ხნით). დაცემის დასაწყისს პირველნი პატრიოტი და შორსმჭვრეტელი თანამედროვენი ხედავენ. მაგალითად, რომის დაცემა ჯერ კიდევ კატონმა (უფროსმა) შეამჩნია, შემდეგ ეს აშკარა გახდა და „ბიძგიდან“ დაახლოებით 700-750 წლის შემდეგ ინერციით გაგრძელდა („მარადიული ქალაქის“ ფაზაში შევიდა), ხოლო, მაგალითად, ბიზანტიის იმპერიაში იგივე პროცესები ხატმებრძოლობით დაიწყო.

დიაქრონიული ცხრილი უნდა იყოს ლაკონიური და იმავდროულად სრულად წარმოაჩენდეს „ათასწლეულის“ განმავლობაში მომხდარ ამბებს. **მაგალითად განვიხილოთ რომაული ეთნოგენეზი და „ბიზანტია და გოთურ-სლავური „ბარბაროსული“სამყაროს“ ცხრილი** (ცხრილი ერთმანეთის სინქრონიულია):

ცხრილი 1 - რომაული ეთნოგენეზი

N	ფაზა	ხანგრძლივობა	რომაული სამყაროს ეთნოგენეზი	„გადატანის მცდელობა“
1	2	3	4	5
1	პასიონარული ბიძგი	150 წელი	ძვ.წ. VIII ს. შუა ხანები - ლეგენდარული პერიოდი	ეტრუსკების მიერ რომის განადგურება (მეფობის გაუქმება)
2	საკუთარი „ისტორიის დაწყება“ -პასიონარული ბიძგის აღმავლობა	200-250 წელი	რესპუბლიკის შექმნა - ძვ.წ. 510-340 წწ;	გალების დამარცხება
3	აკმატიური ფაზა; პასიონარული ბიძგის შეჩერება	200-300 წელი	ხმელთაშუა ზღვისპირეთის დაპყრობა (340-100 ძვ.წ. .)	კიმერიელების, ტევტონების შემოსევები
4	დაქვეითება და შინაგანი კრიზისი	150 წელი	სამოქალაქო ომი (100-30 ძვ.წ.)	სპარტაკის აჯანყება. კატილინას შეთქმულება
5	ინერცია	300 წელი	პრინციპატი - ავგუსტუსიდან კომოდამდე *(30* წ. ძვ.წ. - 192 ახ.წ.)	მარკომანების შემოტევები
6	კატასტროფისკენ	200 წელი	"ჯარისკაცი იმპერატორები" (192-	დაკიის დაკარგვა. გოთების და

			312 წწ.). ქრისტიანთა დევნა	სპარსელების გამარჯვებები
7	მემორიალური ფაზა	100 წელი	დომიმანტი ქრისტიანთა გამარჯვება. წარმართთა დევნა	პროვინციალების დასახლება იტალიაში
8	რეგენერაცია		შეიცვალა „ბიზანტიით“	დედაქალაქის გადატანა რომიდან კონსტანტინეპოლში
9	აგონია	100 წელი	რომის აღება გოთების (410 წ.) და ვანდალების (455 г.) მიერ. სიაგრიუსის სიკვდილი	ხალხთა დიდი გადასახლება
10	თვითრეგულაცია	გაურკვეველია	არ შედგა	

ცხრილი 2 - ბიზანტია და გოთურ -სლავური „ბარბაროსული“სამყარო

N	ბიზანტია	ხანგრძლივობა	გოთები და ლიტები	ხანგრძლივობა
1	2	3	4	5
1	დაახლ. 5-1 ძვ. წწ. ადრეული ქრისტიანობა, თალმუდური იუდაიზმი 34-155 წწ.	იუდეური ომები და ქრისტიანთა დევნა		
2	ნიკეის კრება 325 წ., წარმართებზე გამარჯვება	დავა ერეტიკოსებსა და გნოსტიკოსებთან	გოთების გადასახლება; ვანდალები. სლავებისა და როსომონების გამოჩენა	ჰუნების გადაადგილება აზიაში
3	კრებების ეპოქა (325-630 წ.წ.). საზღვრების დაცვა, იტალიისა და კართაგენის დაბრუნება	სპარსეთთან ომი	ალარიხი, გოთები ესპანეთში, იტალიის განადგურება	ჰუნები გოთების წინააღმდეგ. ბერძნები ოსტგოთების წინააღმდეგ
4	მონოთელიტობა, სირიის, ეგვიპტის, აფრიკის	ომი ბერბერებთან, არაბებთან,	სლავების გავრცელება VI-VIII	რუსები ვარიაგების

	დაკარგვა ხატმებრძოლობა, პავლიკიანელობა (630-843 წწ.)	ბულგარელებთან	სს; ვესტგოთებისა და ვანდალების მარცხი	ხელქვეით -IXს.
5	განხეთქილება რომაულ სამყაროში; მართლმადიდებლობისკენ (843-1070 წწ.)	ომი რუსებსა და ნორმანებთან; სელჩუკებსა და ჯვაროსნებთან	კიევის სახანო (965-1169 წწ.). რუსეთის დაყოფა სამთავროებად	რახარების დამარცხება. ომი პოლოვცებთან
6	სინკლეტი. იმპერიის დაცემა (1072-1204 წწ.)		დაქვეითება (1224 წ.) - ბათოს ლაშქრობები (1236-1241 წ.წ.)	ლიტველების თავდასხმები რუსულ მიწებზე
7	კონსტანტინოპოლი. ლათინთა იმპერია (1205-1261 წწ.)	რომის აგრესია. უნია	კომპრომისი ოქროს ურდოსთან (1242-1312 წწ.). მოსკოვის გაძლიერება; ახალი „ბიძგის“ დაწყება	ოქროს ურდოს გადაქცევა სასულთნოდ
8	პალეოლოგები: რომთან კომპრომისი (1261-1438 წწ.)	თურქ-ოსმალები და სერბები „კოსოვოს ველზე“	ახალი ტალღა ეთნოგენეზისთვის. დიდი, მცირე და თეთრი რუსების წარმოქმნა	ლიტვის აღება
9	კონსტანტინოპოლის, მისტრისა და ტრაპეზუნტის აღება (1453 წ.)		გალიჩები პოლიაკების ქვეშევრდომობაში; ლიტველები კიევში	კულიკოვოს ბრძოლა. „ტალღის“ განახლება
10	თურქთა ხელქვეით		შავი და თეთრი რუსები ლიტვის დაქვემდებარებაში	მოსკოვის სწრაფი ზრდა

სინქრონიული და დიაქრონიული ცხრილის ზემოთ მოყვანილი მაგალითი ძვ. წ. III საუკუნით იწყება, რომელიც ერთი იმ ოთხ ძირითად „ბიძგთაგანია“, რომლებიც გაზიარებულია ისტორიულ მეცნიერებაში (ძვ.წ. III, I, VI, IX საუკუნეებში დაწყებული „ტალღები, ბიძგები, ეთნოსების „ამოჩქეფა“ ჩერდება XII ს-ზე, როცა გამოჩნდებიან მონღოლ-თათრები, რითაც დამთავრდება ჰუნების შემოტევები, ბიზანტიელებისა და სლავების, არაბების და სპარსელების წინსვლა, და ისინი ინერციის ფაზაში გადაინაცვლებენ). შემდეგ ცხრილებს შეიძლება ასეთი სახელწოდება ჰქონდეს: „ჰუნები და თურანი“, „მუსლიმანი არაბები და ტიბეტი“, „შუა საუკუნეების ჩინეთი (VI ს-დან)“, „ხუთი დინასტია და ათი სამეფო (907-979 წწ.) და ლიაო (916 წლიდან)“.

ცხრილებიდან ჩანს, რომ ისტორიულ დროში სხვადასხვა ხალხი შევიდა სხვადასხვა დროს, რომ შეიძლება, ახალი დროი დაიწყოს თავიდან, ან პროცესი იყოს სრულიად შეუქცევადი და როგორღაც დაპროგრამებული მკაცრი კავშირებით მოვლენათა შორის, რომლის პირობითაც მიემართება დროის ათვლა.

გადავამოწმოთ მიღებული შედეგები ისტორიული და ბიოლოგიური დროის შედარებით და მივცეთ ახსნა მიღებულ კანონზომიერებას: როგორც ვიცით, ბიოლოგიური დროის ათვლა ხდება თაობათა ცვლის კვალობაზე; თუმცა ცალკეული სახეობებისთვის დრო განსხვავებული იქნება. რეცესიულობის ნიშანი ბუნებრივად ქრება პოპულაციიდან ბუნებრივი შერჩევის გზით 60 თაობის განმავლობაში, - ამ დროს მთავრდება ერთი ეთნოგენეზი, - რეგიონის პასიონარული მოვლენების გზით იქმნება ეთნოსოციალური სისტემები, რომლებიც ელიმინაციამდე (გადაშენებამდე) ატარებს პასიონარულობის ნიშნებს. ამის შემდეგ რჩება მხოლოდ კულტურა (ძეგლები), რომელსაც ითვისებს რომელიმე ახალი ეთნოსი. **ცხრილები აჩვენებს, რომ ისტორიული დრო „იერარქიულია“. ამ იერარქიაში გამონაკლისი მხოლოდ ისაა, რომ მასში არ არის სივრცობრივ-დროითი კონტინუუმის (უწყვეტობის) ადგილი. ამით ჩვენი „ისტორიული დრო“ „ხანგრძლივია“, უცნობი მხოლოდ მისი ბუნებაა** (ცნობილია, რომ პლუტარქე იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც სცადა დიაქრონიის პრინციპის „გამოჭერა“ და 46 სახელგანთქმული ელინი და რომაელი მოღვაწის აღწერით „დაცემა-წინსვლის“ მიზეზების გარკვევა. ის გრძნობდა ჭეშმარიტებას, მაგრამ არ შეეძლო მისი დამტკიცება და ახსნა შესადარებელი მასალისა და მეთოდების სიმცირის გამო. თუმცა იგი პირველი იყო, ვინც მივიდა ისტორიული დროის პრობლემასთან, ისტორიის როგორც ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციასთან, მის „ბიოგრაფიულობასთან“).

მაშასადმე, ეთნოგენეზის მიკუთვნება „გეოგრაფიულ მოვლენათა“ რიცხვისთვის უდავოა. ეს უფლებას გვაძლევს, ეთნოგენეზის მიმართ გამოვიყენოთ ანგარიშის საკუთარი სისტემა - მზარდი ფაზების მიხედვით, რის დემონსტრირებაც ცხრილებით მოვახდინეთ.

სინქრონიული და დიაქრონიული ცხრილები ეფექტურია მოვლენათა დინამიკის საჩვენებლად, ხელს უწყობს ნარატიული მასალის აღქმას და, მიუხედავად საგაკვეთილო ტექსტების სირთულისა თუ ზოგჯერ „გაუმართაობისა“, საშუალებას აძლევს პედაგოგს, „დაალაგოს“ მსოფლიო ისტორიული პროცესების ზოადი მსვლელობა, პოლიტიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების მიზეზები, ეთნოსოციალური სისტემების წარმოშობისა და განვითარების პრობლემები და ამ კუთხით შეხედონ თანამედროვეობის მრავალ პრობლემას და მათი მოგვარების კონკრეტული გზების თაობაზეც გამოიტანონ გარკვეული დასკვნები.

ამ ტიპის აქტივობების დროს მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია, სწრაფად იზრდება მათი ინტელქტი, ვითარდება გუნდურობა და, საზოგადოდ, მოსწავლეთა კოგნიტური განვითარება ახალ საფეხურზე ადის.